# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

| ფასი: | |
|---|---|
| წლიურათ . . . . . . . | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით . . . . . | 4 მანეთი |
| თვიურათ . . . . . . . | 3 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 142
წელიწადი მეორე
1913

ხუთშაბათი, 12 სექტემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



…ლება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე
…ლიწადი მეორე

1913

# იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

…ნცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით ჰწკარი ღირს … შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

…ზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსითუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ტერეზია ჩიხლაძისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობებს, რომ ამა ეკენისთვის 15-ს, კვირას საფიჩხიის სასაფლაო ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მისი საყვარელი მეუღლის

რაფიელ ჩიხლაძის

სულის მოსახსენებლათ.



…ვ თუთუნს ეწევა, ჰსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

…რისი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

…როსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნით და საუცხოვო გემოვნებით.

…თუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა.

თფილისში.



# КУРСЫ
кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.

# ПРІЕМЪ
заказовъ на элегантные дамскіе наряды

## M-me МАРИ

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможность: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) зарабатывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтнюю практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого, до начала занятій остается немного. Поспѣшите записаться на курсы. Кандидатки сверхъ комплекта приниматься не будутъ.

Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ* Кутаисъ, 1-ая Алексанoровская улица, домъ Бокерія противъ бульвара.

Съ почтеніемъ M-me МАРИ.



გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ქუჩაზე ქალაქის აფთიაქის გვერდით, ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

# ფაზისი

სადაც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ვახშამი ქართული და ევროპიული იაფ-ფასათ; ყოველგვარი ღვინოები, ტკბილი სასმელები და ცივი მინერალური წყლები.

რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების



# კ. ი. ოცხელის
## ახალი წიგნის მაღაზია
(ქ უ თ ა ი ს შ ი).

შუამავლობას უწევს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებს, და უთმობს მათ

## უდიდეს პროცენტს.

კ. ი. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარ ახალი გამოცემები: დაიბეჭდა და იყიდება, საქართველოს ისტორია ს. კვარიანისა მესამე გამოცემა, ფასი უდით 2 აბაზი

იბეჭდება მოკლე ქართული გრამატიკა ი. ნიკოლეიშვილისა მეორე გამოცემა ფასი უდით 1 აბაზი. 10—1



ПО СЛУЧАЮ ОТЪѢЗДА

**ПРОДАЕТСЯ** очень дешево дача въ Сурамѣ, большой двухэтажный домъ; съ флигелемъ; полторыдѣсятины земли; изъ нихъ полъ десят. сосновой рощи съ банковскимъ долгомъ, объ условіяхъ узнать: г. Кисловодскъ до востебованія, *Генеральшѣ Якуловой.*

აგარაკ სურამში, საიდანაც მივდივართ,

# იაფათ იყიდება

დიდი ორსართულიანი სახლი, ერთ-ნახევარი დესეტინა მიწით. ნახევარ დესეტინაზე ნაძვნარია, ფლიგელით, ბანკის ვალით. პირობების შეტყობა შეიძლება ამ მისამართით: კისლოვოდსკში ღენერლის მეუღლეს იაკულოვისას (до востребованія).



# თ. ა. მთავრიშვილის
# წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასა**თ დაუყონებლივ მივაწვდით გოკიელის საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი**, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.



# ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

**ღებულობს შინაგან, ბავშვებისა და ნერვების ავათმყოფებს.**

## იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.

გამოკვლევა **შარდისა** (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა დ თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
ნახველისა (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აკტინომიკიზი და სხვ..)
სისხლისა (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
კუჭის სითხისა (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
ესკრემენტებისა (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
ჩირქისა (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
ქალის რძისა.

**ადრესი**: პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.



## ქუთაისის ქართულ გიმნაზიის

მერვე კლასის მოსწავლე ვუსწორებ გაკვეთილებს მოსწავლეებს მეოთხე კლასამდი ხელმისაწდომ ფასში. ვინაობის გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთი"-ს რედაქციის კანტორის გამგესთან.



## ექიმი ი. ჩარექოვი

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.



ექიმი კ. ი. კაკიტელაშვილი
საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ვეღარ მიიღებს.
4 —15



# იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზეინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.



**ექიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.



მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. ბალანჩივაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.



**ექიმი** კ. ი. აშიანცი დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. ივანოვის ქ. ბ. აშიანცის სახლი.



**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.


## სამრეველო შკოლების
### ახალი პროგრამის გამო.

„ორი ძიძის ხელში ყმაწვილი შიმშილით მოკვდაო", ამბობს ქართული ანდაზა. ეს თქმულება ალბათ ისე არსად არ ასრულებულა, როგორც ჩვენშივე!

ამ ძიძების საცთელი ობიექტი ისევ და ისევ ჩვენი მოზარდი თაობაა!

სჯიჯგნიან საცოდავ არსებას, ქართველ ადამიანათ დაბადებულს, „ტუზემცათ" თუ „ინოროდცათ" წოდებულს, თავის ნამდვილ სახელს მოკლებულსა და პატივ-აყრილს!... ქმნიან რეცეპტებს მისი სულიერი ძალების დასახშოპათ!

ისტორიული უსამართლობა წილათ ხვდა ქართველ ერს და ამ უსამართლობის მწვავე ტკივილებს ყველაზე უფრო მკვეთრად განიცთის ქართველი ბავში!..

ქართველი ადამიანი ის ქმნილებაა, რომელიც აკვნიდანვე ვალდებულია უდიდეს მსხვერპლი შესწიროს ალვირ-ახსნილ უსამართლობას და საფლავის კარამდი მისი მზიდველი იყოს!...

ვინ გინდათ, რომ ხელს არ აფათურებდეს ჩვენი მოზარდი თაობის სულსა და გულში?!. ვინ გინდათ, რომ არ ცთილობდეს ამ „ნედლი მასალისაგან" თავის გემოვნებაზე კვერის გამოცხობას?!. ვინ გინდათ, რომ არ ეშურებოდეს ქართველი მშობლის გამხდარ ზურგზე განავარდებას, თუნდაც ამ ვარჯიშობას მთელი ჩვენი მომავალი შეეწიროს მსხვერპლათ?!..

ორ უწყებას—საეროსა და სასულიეროსა, რომელთა ხელშიაცაა „კულტუროსანი რუსეთის" მოზარდი თაობის ბედი, ჩვენში დიდი აქვს გამართული და ერთი მეორეს ეჯიბრება შესაფერ მოღვაწეობაში! საასპარეზო მოედნათ ჩვენი

შვილების ნორჩი სული და უმანკო გული გაუხდიათ და ხელშეუშლელად დაჯირითობენ!.. ამას ზედ დაუმატეთ ზოგიერთი მას ავლებლის თავ გზა დაკარგული ერთგულობა და თქვენ მიიღებთ მხოლოდ მკრთალ სურათს იმ საშინელი სინამდვილისას, რომ ლისაც ადგილი აქვს ჩვენს უბადრუკ ცხოვრებაში!..

ჯერ 1881 წლ. სასწავლო პლანი მაინც და მაინც რა განძს წარმოადგენს და ისიც კი შეშურდათ ჩვენთვის! და, ვინ იცის, როგორის კბილთა ღრჭენით, ან მეფისტოფელისებურის ხარხარით მოიგონებენ აწინდელი „მოღვაწენი“ იმ პლანის შემქნელთ!.. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზოგი ამათგანი კბილებს უღრჭენს მათ, რომ „საქმე ქმნეს საჭოჭმანები“, ზოგიც კიდევ გესლიანის დაცინვით „სულთათანას“ უგალობს მათს პირშოს!.. ჩვენებური მასწავლებლებიც, აქაო და—„ამყოლს აყევი და დამყოლს დაყ ვიო“, ამ ყოვლად იმერული ანდაზის მიხედვით „აუყვებიან“ და კიდეც „დაუყვებიან“, როცა საჭიროა!..

მაგრამ, რაც უნდა იყოს, საერო განათლების უწყებას თავის სახელწოდებისა ალბათ რამდენიმეთ მაინც მოერიდება; მეორე ცნობილ უწყებას კი მოსარიდებელიც არაფერი აქვს და აკი ამიტომაც ამ დღეებში გამოაქვეყნა თავისი ყოვლად შეუწყნარებელი პროგრამა!.. ეს უწყება, რასაკვირველია, პირდაპირი მემკვიდრეა ჴიმ დიდებული წინაპრებისა, რომლებიც მას ჟამსა შინა ასწავლიდენ:

„Братья, не высокомудрствуйте, но въ смиреніи пребывайте! Аще кто ти речетъ: вѣси ли философію? ты ему рцы; „Эллинскихъ борзостей не текохъ, ни съ мудрыми философы не бывахъ, ни риторскихъ астрономъ не читахъ... учуся книгамъ благодатнаго закона, аще бы моя грѣшная душа очистити отъ грѣха“.

პო და—ამ ხალხისაგან რაღა გასაკვირველია რომ მეოთხე განყოფილებაში სლოვენურს, მაგ. 2 გაკვეთილი დაუთმოს, სამშობლო ენისას კი—არც ერთი! და ეს „ბლაღოდატნი ზაკონათ“ მიიხნიოს!.. ეს დალოცვილები რატომ არ ფიქრობენ, რომ საგნების ასეთი განაწილება პირდაპირ წამწყმედელია და არა მაცხონებელი!.. მაგრამ საქმეც ისაა, თუ ვინ უნდა აცხონოთ და ვინ წაწყმიდოთ! ქართველის ცხონება ცოდვათაა მიჩნეული და „აკტივში“ არავის ჩაეწერება!..

მაგრამ გავიცნოთ თვით პროგრამა:

გაკვეთილების რიცხვი.

| | I წ. | II წ. | III წ. | IV წ. |
|---|---|---|---|---|
| საღვ. სჯული | 6 | 6 | 6 | 6 |
| რუს. წერით. | 9 | 9 | 8 | 8 |
| სლოვენური | — | 1 | 2 | 2 |
| ადგილ. წერით | 6 | 3 | 5 | — |
| ადგ. საეკლესიო | — | 2 | 2 | 3 |
| არითმეტიკა | 3 | 4 | 5 | 6 |
| საეკლ. გალობა | 4 | 4 | 4 | 4 |

ასეთი განაწილება უდრის სამშობლო ენის სრულს განდევნას.

ადგილობრივი საეკლესიო ენაც უფრო „სულის საცხოვნებლათაა“ ჩართული, თვარა აბა შეადარეთ: რუსულსა და სლოვენურს კვირაში 39 გაკვეთილი ეთმობა; ადგილობრივსა და ადგილობრივ საეკლესიოს კი 18!..

საღვთო სჯული მეორე განყოფილებიდან ისწავლება რუსულად; არითმეტიკა კი პირველი წლის მეორე ნახევრიდან!..

საინტერესოა პროგრამის ის ადგილი, რომელიც სამეგრელოს შკოლებს ეხება. აქ პროგრამა „მიხვევ-მოხვევით იკვლევს გზას“ და ბძანებს: „...Если случилось бы, что грузины какой либо мѣстности утеряли свой родной языкъ, или же, употребляя языкъ хотя бы съ общей картвелской основой, но уклонившійся отъ чистаго грузинскаго... въ такомъ случаѣ обученіе грузинскому не должно быть допускаемо“.

ახლად გამოქვეყნებული პროგრამა უწ. სინოდს 1902 წ. დაუმტკიცებია და, აი, ეს „წმინდანი“ დღემდი ლუსკუმაში განისვენებდა! დღეს კი, რაკი მათთვის „დარი დარობს“, იხილა მზის სინათლე და ეს ვოსტორგოვების ნაცოდვილევი ჩვენი ბავშვების საცოდვილოთ და საწვალებლათ უნდა გახდეს!..

ფიქრობ და ვერ მიმხვდარხარ, რომელი სახელმწიფოებრივი, ან საეკლესიო ინტერესი მოითხოვს ჩვენი შვილების გონებრივათ დამახინჯებას?! რომელი პედაგოგიური მოსაზრება უდევს საფუძვლათ ამ პროგრამას! ვის რა დაუშავეს ქართველმა ბავშვმა, რომ მათ სულსა და გულს ასე დაუზოგველათ შესევიან მოხელე კარიერისტები?!

ფიქრობ და ვერ აგიხსნია, რუ როგორ შეიძლება მშობელმა შვილი ისე მოიძულოს, რომ ასეთ პროგრამას უმსხვერპლოს იგი!..

განსაჯეთ!..

დონ.

# დეპეში

**პეტერბურგი**, 10 ეკენისთვე. კოკოვცოვთან საუბარი მქონდა მოსალოდნელი შიმშილობის თაობაზე. მინისტრი შემპირდა უხვათ შემწეობას. გთხოვთ შეკრიბოთ ნამდვილი ცნობები საჭირო დახმარების შესახებ. ამ დღეებში გამოვემგზავრები.

გელოვანი.

# ახალი ამბავი.

პეტერბურგში 10 ეკენისთვეს ფეხზე წითელის ქარის გამო ანთებითა და მისგან გამოწვეული გულის სიდამბლით გადაიცვალა საქართველოს ეგზარხოსი არქიეპისკოპოზი ინოკენტი.

✦ ქიათურის ბანკის ბუღალტერი სოფრომ ტარიელაშვილი თფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის უფროს ბუღალტრათ დაინიშნა.

✦ ამას წინათ ზესტაფონში ცეცხლმა 12 დუქანი იმსხვერპლა. ბევრმა საქონელის გამოტანა მოასწრო თითქმის ერთიანადო, მაგრამ გინდა დამწვარი და გინდა დაკარგული—სულ ერთიანათ გაიპარ-გაიტაცესო. ზარალი ორმოცდაათი ათას მანეთამდიაო.

✦ წელს ქუთაისის ბაზარზე გასულ წლებთან შედარებით ნაკლებაა შემოდის მუდამ სოფლებიდან ყურძენი, განსაკუთრებით კი ზემო-იმერეთიდან. ანანოვმა ზესტაფონში დიდი მარანი მოაწყო და დიდძალ ყურძენსაც ყიდულობსო.

✦ ქალაქის საბჭომ 9 სეკტემბერს საქონლის ხორცზე შემდეგი ნიხრი დაადგინა. მორეკილი საქონლის ხორცი პირველი ხარისხისა უნდა იყიდებოდეს გირვანქა 12 კაპ., მეორე ხარისხის 11 კაპ. ადგილობრივი საქონლის პირველი ხარისხის—ორ შაურათ მეორე ხარისხის 9 კაპ. ძუძუ მწოვარა ხბოს ხორცი 13 კ. მოზდილი ხბოსა და ცხვრის ხორცი 12 კაპ. კამეჩის ხორცი 7 კაპ. და სუკი 18 კ. ოყა (სამი გირვანქა) ფურნის პური პირველი ხარისხის უნდა იყიდებოდეს 13 კაპ. მეორე ხარისხ, 11 კაპ. და მესამე 9 კაპ.

✦ როგორც გავიგეთ, რკინის გზათა სამართველოს უყურადღებოთ დაუტოვებია ქალაქის შამდგომლობა ტყიბულის რკინის გზის შტოზე გადასასვლელების (პერეეზდები) გაკეთების შესახებ.

✦ ხვალ ქალაქის თეატრში გიორგი მეფარიშვილი წაიკითხავს საჯარო ლექციას (საღამ. 8 1/2 ს.): „სიცოცხლის ღირებულებას“-ზე, ლექციის პროგრამა იქნება:

ა. ღირს თუ არა სიცოცხლე იმათ, რომ ვიცხოვროთ და რისათვის უნდა ვიცხოვროთ?

შინაარსი პესიმისტური თეორიისა. პესიმისტური მოძღვრების პრინციპიალური უსწორობა. საბუთები სიცოცხლის დადებითი ღირებულობისა ანუ ოპტიმიზმისა. სიცოცხლის შინაარსი. პრაქტიკულ ტანჯვათა მოსპობა. პიროვნება და საზოგადოება. იდეალების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

**ბ. თვითმკვლელობა.**

მიზეზები და მიზანი თვითმკვლელობისა. ხსნა პესიმისტურ განცთათაგან და თვითმკვლელობისაგან.

**გ. ვეგეტარიანობის ფილოსოფია.**

პატივისცემა და დაფასება ყოველი სულდგმულის სიცოცხლისა. შესაძლებლობა და სარგებლობა უსისხლო საზდოობისა. ფიზიოლოგიური ვივისექცია (ცოცხალ ცხოველთა ჭრა). თეორეტიული ინტერესი სიცოცხლისა. მიზანი ჩვენი ცხოვრებისა.

✦ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მორიგი სხდომა შესდგება ჭიათურაში 17-ის ნაცვლად 18 ამ თვეს.

✦ ქალაქის ბიბლიოთეკაში ატეხილი კინ ლავი და დასრულებელი დავიდარაბა ამ ბიბლიოთეკაში მოსამსახურე პირებ შორის მით დასრულდა, რომ ქალაქის გამგეობამ უკიდურეს ზომას მიმართა: გუშინწინ გამოაძევა ბიბლიოთეკიდან ეს მოსამსახურენი და დროებით ბიბლიოთეკა დახურა.

✦ 10 ეკენისთვეს დანიშნული პოლიტიკური საქმეები მ. გობეჩიასი და ფალიანისა თფ. პალატის სესიამ გადასდვა.

✦ აგვისტოში ქალაქის ლაბორატორიის აგენტებს 19 რძის ნიმუში შეუმოწმებიათ, 15 ფქვილის, 11 პურისა და 12 ღვინისა.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ნუმერში დაბეჭდილ ცვარნამის ლექსში შეცდომით არის დებეჭდილი „ვითა ბულბული გედისა“ უნდა იყოს „ბუმბული გედისა“.

## ქუთაისის თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივი კრება.

შაბათს, 10 სეკტემბერს მოხდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება. ამ კრების მიზანი იყო განეხილა მეფის მოადგილის თანაშემწის წინადადება ქუთაისის გუბერნიის თ.-აზნაურობისადმი კადეტთა კორპუსთან მოსამზადებელ სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამ სასწავლებელში მთავრობის განზრახვით შვილებს მიაბარებენ ისეთი აზნაურნი, რომელნიც არ მსახურობენ და არც უმსახურნიათ, ე. ი. ღარიბ აზნაურთა შვილებისთვის არსდება ეს მოსამზადებელი სასწავლებელი, რადგანაც ამათ საშვალება არ აქვთ თავისი ხარჯით მოამზადონ შვილები პირდაპირ კორპუსში შესასვლელად. კრება გახსნა გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის ამასრულებელმა თ. დ. კ. ნიჟარაძემ და სთხოვა შეკრებილთ მოესმინათ მეფის მოადგილის თანაშემწის ვატაცის წინადადება. დეპუტატთა საკრებულოს მდივანი კითხულობს ზემო აღნიშნულ წინადადებას, პროექტს მომავალ სასწავლებლისას და მასწავლებელთა შტატს, შემდეგ აქვეყნებს თფილისის გუბერნიის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს დადგენილებას, რომელიც უნდა წარედგინოს საგუბერნიო საგანგებო კრებას. ასეთი კრება 22 სეკტემბრისთვის არის მოწვეული. ხსენებულ დეპუტატთა საკრებულოს დაუდგენია გადასდვას ამ საქმისათვის 3 ათასი მანეთი.

თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ან საგანგებო კრებამ და ან ისევ დეპუტატთა საკრებულომ ეს თანხა ორ ათას მანეთამდი მიიყვანოსო. ეს იქნება ის უდიდესი სხვერპლი, რომელსაც თფილისის გუბერნიის თ.-აზნაურობა შესძლებს შესწიროს ზემო აღნიშნულ სასწავლებელსო.

ქუთაისის საკრებულოს ქონება თათფირი და დაუდგენია, გადაიდოს ხუთი ათასი მანეთი უმაღლესათ ნაბოძები ოცი ათასი მანეთიდან, რომელიც დღეს ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიას ხმარდება. საკრებულოს დეპუტატს თ. ი. ნიჟარაძეს განსაკუთრებითი აზრი შეუტანია: დაარსდეს ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიასთან განყოფილება, სადაც მოემზადებიან აზნაურთა შვილები კადეტთა კორპუსში შესასვლელათ.

**დ. ა. ლორთქიფანიძე:** საჭიროა გადაიდვას თანხა ამ სასწავლებელში ჩვენი ღარიბი აზნაურების შვილების მოსამზადებლათ. ამით საშვალებას მივცემთ მათ შვილები უსწავლელი არ დაურჩეთ.

**თ. დ. ო. ნიჟარაძე:** დიდი მადლობის ღირსია მთავრობა ასეთი კეთილი საქმის დაწყებისთვის. ჩვენ, რაც შეგვიძლია, დახმარება უნდა გავუწიოთ და თფილისის გუბერნიის თ.-აზნაურობასთან ერთად ვიზრუნოთ რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე მოვაგვაროთ. ხოლო რადგან დღეს საჭირო ცნობები არ მოგვეპოვება, თუ რა რიგი დახმარება იქნება საჭირო, ან რამდენი ადგილი იქნება ჩვენ გუბერნიას მომავალ სასწავლებელში დათმობილი, ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. როცა საჭირო ცნობები ხელთ გვექნება და კრებაც უფრო მრავალ რიცხოვანი იქნება, მაშინ მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება.

**ი. ი. ოცხელი:** პედაგოგიური მხრივ მომავალი სასწავლებელი შეუწყნარებელია. 7 ან 8 წლის ბავში უნდა გაიგზავნოს იქ და უცხო მასწავლებელთა ხელში პირდაპირ რუსულის სწავლა დაიწყოს, ეს პედაგოგიკის პრინციპის უარყოფაა, შემდეგ ბ. ოცხელი დაწვრილებით ანალიზს უშვებს მთავრობის მიერ მომავალ განზრახულ შკოლას, საიდანაც ცხადათ ჩანს, რომ ასეთი სასწავლებლის შესანახათ ფულის გადადება და მერე იმ თანხიდან, რომელიც დღეს სააზნაურო გიმნაზიას ხმარდება, შეუწყნარებელიაო. ორატორი ურჩევს კრებას, ამ ფულით გაიხსნას სააზნაურო გიმნაზიასთან მოსამზადებელი განყოფილება, საიდანაც შემდეგ ბავშვებს შეეძლებათ კორპუსში შესვლა.

**გ. ლაღიძე:** თქვენ ყურადღებას მივაქცევ მეფის მოადგილის თანაშემწის წინადადების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ მომავალ მოსამზადებელ განყოფილებაში შვილების მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ თავად-აზნაურთ რომელნიც არ მსახურობენ და არ უმსახურიათ, რასაკვირველია, ასეთები ძალიან მდიდრებიც შეიძლება იყვნენ. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ხსენებულ აზნაურებს საშვალება აქვთ მოამზადონ სხვის დაუხმარებლათ შვილები. მომავალი სასწავლებელის მიზანი კია—კადეტთა კორპუსში შესასვლელად მოამზადონ, ასეთ, აზნაურთა შვილები, რომელთაც თავისი საშვალება არ აქვთ, თავადაზნაურთა და მთავრობის დახმარებას საჭიროებენ. როგორც ხედავთ, ასეთი ღარიბი აზნაურები დღეს აქ არ არიან. ჩვენ მათი აზრი არ ვიცით, არ ვიცით თუ რას ისურვებენ ისინი, ამიტომ მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება ეს საკითხი გადასწყდეს უფრო მრავალ რიცხოვან კრებაზე, სადაც სოფლის თავად აზნაურნიც იქნებიან. კანონი ყოველ აზნაურს ანიჭებს სათათბირო ხმის უფლებასა და როდესაც კრებას მათი აზრიც ეცოდინება, მაშინ უფრო სწორათ შეიძლება ეს კითხვა გადასწყდეს. მე პირადათ კი ვფიქრობ, რომ ამ საქმეზე თავად-აზნაურობამ არაფერიც არ უნდა გადასდვას. თავად აზნაურობის მოვალეობას არ შეადგენს ჯარის კაცების მომზადება. ეს სახელმწიფო საქმეა. რუსეთის არმიისათვის მილიარდები იხარჯება; ორი თუ სამი ათასი მანეთის გადადებით ჩვენ შესამჩნევათ გაგვიჭირდება და მთავრობას კი ვერაფერს შემატებს. თუმც სურს, რომ მეტი ქართველი ჯარის კაცი ყავდეს, ამისთვის საჭირო თანხასაც გამონახავს.

**ს. ყიფიანი:** მე წინააღმდეგი ვარ, რომ ეს, საკითხი სხვა კრებაზე განვიხილოთ წვრილ აზნაურებს, რომ დავეკითხოთ შეიძლება გვითხრან ათი ათასი გადადევითო. მე მგონია დღევანდელი კრებაც შესაფერისად გადასწყვეტს ამ საქმეს. ასეთი სასწავლებელი ჩვენ მავნებლობის მეტს ვერაფერს შეგვძენს. 8 წლის ბავში უნდა მოსწყვიტონ მშობლებს, იქ უცხო განათლებას მიიღებს და სრულიად გადაგვარდება. თქვენ შვილს წერილსაც ველარ მისწერთ თქვენს ენაზე. ამნაირად დავკარგავთ შვილებს და ასეთ საქმეს რომ ჩვენ თვითონ დავეხმაროთ, მე მგონი, თქვენ ამას არ იზამთ.

**სპ. ჯორჯიკია:** ჩვენ მოვალე ვართ ყოველგვარი დახმარება აღმოვუჩინოთ ისეთ შკოლას, არსებულსა თუ მომავალს, სადაც მოზარდ თაობას აძლევენ ნამდვილ ცოდნას, უვითარებენ გონებასა და ამზადებენ ჩვენი ქვეყნის გამოსადეგ მოქალაქეებათ. ახლა ვიკითხოთ, აქვს კი ასეთი მიზანი იმ შკოლას რომლის დაარსებისაკენც მოგვიწოდებენ? მგონია, რომ არა. ჩვენი სააზნაურო გიმნაზია მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. იქ მასწავლებელი იღებს სულ მცირე ჯამაგირს, ხოლო თავს აწევს დიდი შრომა. ამის შესახებ მე უკვე წარვადგინე დეპუტატთა საკრებულოში მოხსენება.

ჯერ დავეხმაროთ ჩვენს შკოლასა და მერე სხვასაც, თუ კი იგი ნამდვილ ცოდნას მისცემს ჩვენს შვილებს.

თ. დ. ო. ნიჟარაძე წინადადებას იძლევა არჩეულ იქმნას კამისია, რომელიც გამონახავს საშვალებას, შეკრებს საჭირო მასალასა და თავის აზრს წარუდგენს მომავალ კრებას.

ამ წინადადებას იღებს კრება. კომისიაში აირჩიეს: თ. სოლომონ მიქელაძე, ვ. პილაძე, თ. დ. ო. ნიჟარაძე, ნაფიცი ვექილი დ. კვერკველია, ი. ი. ოცხელი. კრებამ დააკმაყოფილა რამოდენიმე სტიპენ…იანტის თხოვნა სტიპენდიებ… გძელების შესახებ: სტიპენდია გ… დეს შემდეგ პირთ: ლიუდმილა … რაშვილის ასულს, შარიამ მარ… შვილის ასულს, ნანი ასათიანს.

პეტრე … წულუკიძე: … ამ … შესრულდა ოცდაათი წელიწადი… შემდეგ, რაც წინამძღვარიანთ… ლა არსებობს. მისმა დამაარსებ… და სულის ჩამდგმელმა ბ. ილია მძღვარიშვილმა დიდი ღვაწლი დას… საქმეს. მისი დაუღალავი შრომით ვითარდა ეს საქმე.

ოცდა ცხრა ეკენისთვეს იდღესასწა… ბენ ამ სასწავლებლისა და მისი ხელმ… ნელის იუბილეს სხვადასხვა დაწე… ლებანი, როგორც სამეურნეო, … კითხვის გამავრცელებელი საზოგა… და თფილისის თავადაზნაურობაც … წილეობას მიიღებს. ჩვენც აღვნიშ… რითიმე ეს დღესასწაული ან დეპ… ციის გაგზავნითა და ან სხვა რამ ს… ლებით.

გ. ლაღიძე. სავსებით ვეთანხმები … ლუკიძის აზრსა და მასთან ერთად საჭიროთ ვსთვლი ქუთაისის თავად… ურობამ რითიმე აღნიშნოს ეს ჩვენი … რებისთვის მეტათ საყურადღებო … ლენი. გადავსდვათ ამ სასწავლებლის… განსაზღვრული თანხა, რომლის … ძებნაც დღეს არჩეულ კომისიას მ… დოს. კრება დაადგენს: გაიგზავნოს … პუტაცია და ავალებს კომისიას … რულობისთვის საჭირო თანხის გამო… ნას.

შემდეგ კრებამ განიხილა წინადა… სახელმწიფო საბჭოს წევრის თ. ანდ… ერისთავისთვის სუბსიდიის დანიშ… შესახებ. ეს ერთი ხანია, კრება არ მართულა ისე, რომ ხსენებული პ… სუბსიდიის დანიშნის საკითხი არ … რულიყოს. გუშინდელ კრებაზეც, საკვირველია, მისმა მეგობრებმა … აურზაური ასტეხეს.

„ჩვენს წარმომადგენელს“ უნდა ვეხმაროთ გაჭირვებულია, ჯამაგირი ყოფნისო. ზოგიერთ გულუბრყვილ… დასაჯერებლათ ისიც კი სთქვეს, … არცერთი წევრი არ არის საბჭო… რომ სუბსიდიას არ იღებდეს, მაგრამ… ქმე ისაა, რომ თავისუფალი თანხ… არის, ამიტომაც ეს საკითხიც კ… სიას გადაეცა და შემდეგ კრებაზე ალ… კიდევ იქნება აყალმაყალი ამის გარშ…

# 11 ეკენისთვე.

„მიველ, ვნახე, დავამარცხე“—ს… იულიუს კეისარმა და ამას ასრულ… კიდეცა გადმოგვცემს ისტორია.

იულიუსობას, მაპატიონ, ვერ … ვსწამებ თანამედროვე აქაურ თ-დ აზნა… რობას, ხოლო რაკი ვერ, ანუ არ … ამარცხებდენ, დამარცხებული მაინც დაბრუნებულიყვენ შინა.

კალმით, სიტყვითა და მიმიკითაც … აღიარეს იუდისა, პილატესი, ლონგ… ნისა და მრავალ სხვა ამგვარივე თავის… მქონეთ თავისი წინამძღოლი; … გახსენებაზე ილრიჯებოდენ და მუშ… მუშტებს ჰაერში მის მიმართ აქნევდ… სიტყვა მათი საჭირო აღარც კი … ისეთი მჭერ-გამომხატველი იყო … მიმიკა! წუხელის კი იმ თავის … ნაქებ, ნადიდები წინამძღოლის თავჯდ… მარეობით შეკრბენ, ორი-სამი სა… ტკბილათ იბაასეს, იდარბაისლეს და … სახითვე დაიშალენ.

ბა—არაქალი ასეთი კორპორაცია … ჯურისა და რა სახისაც არ უნდა … იგი.

გამოცდილი მეცხვარეებისაგან გამ… ნია:—„თუ ერკემალს გაში შეატყო, … რა შედგება, უკან დაიხევს და, მე—… —ე“—თი გამოხატავს თავის საყვედ… და უნდობლობას ერკემელისადმი“.

ცხვარსა აქვს ამის უნარი და გამ… დაობა, ცხვარსა!...

თქვენ კი ხომ ადამიანები ხართ? ვინა ხართ?

მიღმა-მდგომი.

# ფიქრთა მორევში.

ოდეს ადამიანი თავის სახეს კარგ… „გადაურჯულდება“, მას თვით ხალ… „ცხრა რჯულას“ ეძახის და ამ შერქმე… ლი სახელით ამოწმებს, რომ ის ადამ…

# ჩემს სიყვარულს დაუჯერე.

—:—

ამა, იმას რა ყურს უგდებ,
რაც სურს, ის სთქვას, რაო მერე?
შენ ჩემს თვალებს დააცქერდი,
შენ ჩემს ფიქრებს დაუჯერე!..

ვინც რა უნდა, დეე, ის სთქვას,
რა ყურს უგდებ ქვეყნის ზრახვებს?
შენ ჩემს გულში ჩაიხედე,
ის ყველაფერს დაგანახვებს...

ხომ ხედავ, რომ აღარა ვარ,
თან დამყვება ლანდი შენი?
მაშ, სიცოცხლე, მე მერწმუნე,
სხვაზე ფიქრს კი დაეხსენი!

ამა, იმას რა ყურს უგდებ,
რაც სურს ის სთქვას, რაო მერე?
შენ ჩემს თვალებს დააცქერდი,
ჩემს სიყვარულს დაუჯერე!..

9 სეკტემბერი. **გუცა.**

---

...ცუდი, მავნეა საზოგადოებისთვის, ...სათოკე...
...ით გამოიხატება სახის დაკარგვა ...რველესად?
...ცხრა რჯულას" ხალხი უფრო ხში... იმას ეძახის, ვისაც უციობით, შეუ... ...ლათ საკუთარი თავისთვის ულალა... დაუკარგავს თავისიანი, ეხამება ...ვარე-მოკეთე, მიტმასნია გადამთიელს, ...თმია თავის კარ-მიდამო, ქვეყანა, ...ენა, გადარჯულებულა...
...ა აი, დიდი ხანია, გვაცხრარჯულე... ცდილობენ ჩვენს გადაგვარებას, ...ვიან იმად, რომ ჩვენ სახე დავკარ... და ახლა ამისთვის ფულსაც კი ...ხოვენ.
...ოველწლიურათ გვაძლიეთ ხუთას... ...ასი თუმანი იმისთვის, რომ **თქვენ** ...რ იყოთო.
...ა მივცეთო, იტყვის იგი, ვინც ვერა ...ობს, რომ ნახშირს უკეთებს იმ ქუ... სადაც რკინა იწრთვება, გრდემ... ...ედება ამ გავარვარებულ რკინასა და ...ეგ თვით ატრიალებს იმ ჩარხს, რო... ...ზეც ამ რკინისგან მისი დასაკლავი ...ილესება.

**დ. მესხი.**

---

## ...კოლის ცხოვრებიდან

(**წერილი ხონიდან**).

...რველი სეკტემბრის მოახლოებამ, აქაც ...ფუსა მოსწავლე ახალგაზდობა და ... მშობლები. ქალი თუ ვაჟი ყველა ...ავლებლისკენ მიეშურება. მაგრამ ქა... ...ამ მხრით ცუდ მდგომარეობაში ...ან. ასე გეგონებათ, ქალთა უუფლე... ...ას აქ გაუდგამს ძირიო. ორი თუ სა... ...ერეული პირველდაწყებითი შკოლის ...ა აქ ერთი რიგიანი დაწყებითი სა... ...ებო შკოლა არ არის. დღეს სოფ... ...მიც კი არსებობს ქალთა შკოლები ...ი პროფესიონალური განყოფილე... ...ხონში რომ ორკლასიანი საქალე... შკოლა იყო, მარიამის სასწავლებ... გადააკეთეს. ზოგიერთ გულუბრყვი... ...იქნებ კიდეც გაუკვირდეს, რო... თუ ხონს საქალებო შკოლა აკლი... როცა იქ არის მარიამის სასწავლე... და ქალთა პროფესიონალური ...ა? მაგრამ ერთი რომ ეს სასწავ... ...ლები მეტი ნაწილისთვის მიუწვდო... და მეორე ის, რომ ვერ ასრუ... თავის დანიშნულებას. მაგალი... ...სად შეუძლია სოფლელ გლეხს ...ს წელიწადში 20—30 მანეთი? ...ც კი ვინც ცოტა რიგიან პირობებ... ...რიან და შკოლაში მოხვედრილან, ...რიან სანატრელ მდგომარეობაში. ...მიზეზია თვით შკოლა თავისი რე... ...სწავლის სისტემითა ც აღზდით. ...ით მარიამის სასწავლებელი და ვნა... როგორ ემსახურება ის თავის და... ...ულებას? დღეს ყველა ხედავს და ...ობს, რომ ეს სასწავლებელი არა ...ველ ნიადაგზე დგას, სხვა მაგვარ ...ვლებლებთან შედარებით, მარა ხმას ...ილებს. ეს სასწავლებელი ძლიერ ...ლა ახალი უფროსის, ქ. სოლო... დანიშვნას შემდეგ. ამ დიდათ ხსე... ...ლმა ქალბატონმა, როგორც არა ...ერ აღნიშნულა გაზეთის ფურც... ...ე, მოსვლისათანავე მიყო ხელი ქართ... მასწავლებელ ქალთა დათხოვასა ...ათ ადგილი სულ რუს მასწავლე... ქალებს დაურიგა. ახლა მთელს ...მის სასწავლებელში ქართველ მა...სწავლებელთა ჰაჰანი არ არის, გარდა ერთი ხელსაქმის მასწავლებლისა, რომელიც რუს მასწავლებელს ყავს ცოლათა და ორი ღვდლისა, რომელნიც სოლოგუბის მარჯვენა ხელს შეადგენენ. სასწავლებელში გახსნილა დაბალი პირველი მოსამზადებელი განყოფილება, სადაც 7—8 წლის ბავშებს ღებულობენ. ამ განყოფილებაში ერთ წელიწადს ასწრებენ ქართულისა და რუსული ანბანის გავლასა და პირველ ნაწილს „რუსკოე სლოვოს" მთლათ გადიან. ამ განყოფილებაში მასწავლებლობს რუსი ქალი, ეს ქალი წლის განმავლობაში ამდენს „ასწავლის" და რაღა გასაკვირველია, რომ ამის შემხედვარე მთავრობა ერეკებოდეს ჩვენს მასწავლებლებს შკოლიდან, რადგან ისინი ამ მასალის გავლასა და შეთვისებას ორ წელიწადს ანდომებენ!.. მუნჯური მეთოდით ასწავლის და თუ ამ მეთოდის მიმდევრები თავის მოსწავლეებს გაკვეთილის დროს კვერცხს აღებინებენ, ან ვირივით აყროყინებენ, ან გიჟივით ახტუნებენ,—ამ დალოცვილს ბურთისა და ბზრიალოს ჩვენებაც კი დახარებია. ასეა დაყენებული სწავლება პირველ განყოფილებაში, სადაც სწავლის საძირკველი ისკვნება. მეორე განყოფილებაშიც ამგვარათაა მოწყობილი რუსული ენის სწავლება და ქართული ხომ მთლათ შევიწროებულია და ისაა!

არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენო ხატვის მასწავლებელი ბ. პატარა პავლოვი, რომელსაც თავისი ყოფაქცევითა და ზნეობით ერთგვარი სახლის შეიცრობა უფრო შეფერის, ვიდრე მასწავლებლობა და ისიც ქალების სასწავლებელში! ამას თვით მოსწავლეებიც გრძნობენ და თავის პროტესტს აცხადებენ შკოლის მინების დამტვრევითა და სხვა... მასწავლებლები თავისი უფროსითურთ ვერ აცნობენ თავის მოსწავლეთ მდგომარეობას, არც ცდილობენ დაუახლოვდენ მათ და ვერც შესძლებენ მათთან დაახლოებას, რადგან ამას წინ ეღობება ენა და ზნე ჩვეულება.

დროა, ბატონებო ჩვენი ნორჩი ბავშების სწავლა-აღზდის საქმეს ყურადღება მივაქციოთ და საქმეს დროით ვუშველოთ.

**ჩამოსული.**

---

## მშრომელი ხალხი.

**რუსეთი.**

**ბაქოს გაფიცვა.** ნობელის სამრეწველოს ადმინისტრაციამ პეტერბურგიდან ბძანების მიღების თანახმათ გაფიცულ მუშებს გამოუცხადა—მოდით და ანგარიში მიიღეთო. ადმინისტრაციის ეს განცხადება მუშებმა უყურადღებოთ დატოვეს. სამრეწველოს ადმინისტრაციამ თუ როგორც უნდა იმოქმედოს ამის შესახებ, განკარგულებას პეტერბურგიდან მოელის.

**რიგის გაფიცვები.** რიგაში გაფიცვის ხანა სრულდება. ყველა ქარხანაში მუშაობა დაიწყეს. ნავსადგურის მუშების ერთმა ნაწილმა მუშაობა განაახლეს. მაზრის პოლიციის უფროსს დაევალა ნავსადგურის მუშათა გაფიცვა დაწვრილებით გამოიძიოს.

**კიდევ ბაქოს გაფიცვის შესახებ.** 5 სეკტემბერს პეტერბურგში მიიღეს ცნობა ნობელის სამრეწველოში გაფიცულ მუშებსა და სამრეწველოს ადმინისტრაციას შორის დამოკიდებულება გამწვავდაო.



**თფილისელი მეომარი 1795 წ. აღამაჰმად ხანის ომში.** XVIII საუკ. გასვლამდი, ქართლისა და კახეთის მოქალაქენი და მეომარნიც ასე იმოსებოდენ. 1780 წლიდამ ქართლსა და იმერეთში მორიგი ჯარიც დაარსდა და თფილისში არტილერიაც, მაგრამ ისეთი წესიც იყო, რომ, როცა ომი მოხდებოდა, საქართველოს მოქალაქე ხელოსნები თავას ნებითაც გამოდიოდა საომრათ. ეს სურათი დახატულია 1795 წ.

---

გამოაკრეს განცხადებები, სადაც უცხადებენ მუშებს, რომ ისინი დათხოვილი არიან. ოჯახის პატრონ მუშებს წინადადება მისცეს 7 დღის განმავლობაში დასცალონ სამრეწველოს ბინები. სამრეწველოს ბინებში სულ 3 ათას მუშამდი ცხოვრობს.

**გაფიცვა ინგლისში.** მანჩესტერის ნავსადგურში მუშაობა შესწყდა. გაფიცულია 5 ათასი მუშა.

**კონფერენცია.** ბერნში საერთაშორისო მუშათა კავშირების კონფერენციაზე ქალთათვისა და მცირე წლოვანთათვის 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ შეთანხმდენ. ღამით მუშაობის მოსპობის შესახებ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ამ საგანზე შეიტანეს რამდენიმე წინადადება.

**კონგრესი.** ციურიხში მუშათა პროფესიონალურ საზოგადოებათა წარმომადგენლების კონგრესი გაიხსნა. კონგრეს 22 სახელმწიფოს წარმომადგენელი დაესწრო. წარმომადგენლები გამოგზავნა ორგანიზაციულად შეკავშირებულმა შვიდმა მილიონმა მუშამ. სხვათა შორის იმსჯელებენ პირველ მაისის უქმობის შესახებ.

---

# რუსეთი.

**კოკოვცოვის განცხადება.** მესამე სათათბიროს თავჯდომარეს როძიანკოს ხანგძლივი საუბარი ქონდა პრემიერთან. საუბარი შეეხებოდა მთავრობის ბოიკოტს სათათბიროსადმი. პრემიერმა განაცხადა, რომ მთავრობა მტკიცე ადგია თავის აზრს:—სანამ სათათბირო ბოდიშს არ მოიხდის მთავრობის წინაშე, მანამ არც ერთი მინისტრი სათათბიროს სხდომას არ დაესწრებაო.

**ეპისკოპოზი ნიკონი და სინოდი.** სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ეპისკოპოზმა ნიკონმა სინოდის წინაშე წინასწარ შუამდგომლობა აღძრა, რათა მიეცათ მისთვის ნება ოკტომბერში სათათბიროს სხდომებზე დასწრებისა. სინოდმა ნიკონის შუამდგომლობა უარყო.

— სიმფეროპოლში გორნოსტაევის საკრედიტო ამხანაგობის მოლარემ კორნიენკომ განაცხადა, რომ კასიდან გატაცებულია 16,500 მანეთიო. ეჭვი თვით კორნიენკოზე აიღეს და, მართლაც, გაჩხრიკეს და ფული მის სახლში აღმოჩნდა.

**გადაუშინჯავი კანონპროექტი.** სახელმწიფო სათათბიროს კანცელარიამ შეადგინა სია იმ კანონპროექტისა, რომელიც გადაუშინჯავი დარჩა პირველი სესიის დროს მეოთხე სათათბიროს. ასეთი კანონპროექტის რიცხვი 370-ია

**სანიტარული მდგომარეობა შკოლებში.** სახალხო განათლების სამინისტრო ირკვევს თუ რა ზომები მიიღოს სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ შკოლებში. განზრახვაა,—დაარსდეს სანიტარული ინსპექტორების თანამდებობა ნაცვლად ახლანდელი შკოლის აქიმებისა. თითო ასეთ ინსპექტორს ჩაბარდება 2—3 სასწავლებელი, რომლის სანიტარული მდგომარეობაც მის პასუხისგებაში იქნება,

ამასთანავე დაარსდება თანამდებობა ოლქის შკოლათა სანიტირული ინსპექტორის, რომლის გამგეობაშიც იქნება საოლქო სასწავლებლების სანიტარული მდგომარეობა.

---

# უცხოეთი.

**იაპონია და ჩინეთი.** ტოკიოში მყოფი ჩინეთის ელჩი მივიდა ნანკინს და იუანშიკაის ბძანებით იაპონიის საელჩოს წინაშე ბოდიში მოიხადა. იაპონია ამ ბოდიშით არ კმაყოფილდება და მოითხოვს ბოდიში გენერალმა ჩჯანმაც მოიხადოს. ჩინეთის მთავრობამ ჩჯანის ბოდიშის მოხდაზე დასათანხმებლათ დრო გამოითხოვა. იუანშიკაის ბძანებით იაპონიის ქვეშევრდომთა მკვლელი აფიცრები სამართალში მისცეს. გენერალი ჩჯანი უარზეა იაპონიის მოთხოვნილება აასრულოს და მოსალაპარაკებლათ პეკინს წავიდეს. ჩინეთის სანიტარული რაზმი ნანკინს მივიდა დახოცილების დასამარხავათ, მაგრამ გენერალმა ჩჯანმა ამათ დახოცილთა გვამები არ დაანება. კანტონის მახლობლათ ყველა ქალაქები პირატების ხელშია. საერთოდ იანძეკიანგსა და სხვა მხარეში ანარქია გაძლიერდა.

**დემონსტრაცია ბეირუთში.** პარიზიდან დაბრუნებულს არაბეთ-სირიის კონგრესის დელეგატებს ბეირუთში დიდის ამბით შეხვდენ. ამათი ბეირუთში ჩამოსვლისას გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც დიდძალი ხალხი ღებულობდა მონაწილეობას. აუშვეს დროშები, რომელსაც ეწერა—„რეფორმა" შემდეგ დემონსტრანტები მუსიკით მთავრობის სასახლესთან მივიდენ. მთავრობის სასახლის წინ წარმოითქვა მრავალი სიტყვა.

**სოც.-დემოკრატთა კრება.** გერმანიის სოციალდემოკრატთა კრებაზე, რომელიც იონში ხდება, გამოირკვა რომ გერმანიაში მილიონი არა გერმანელი მუშა ხელია. ამით ხსნიან სამუშაო ხელფასის დაცემას. პროფესიონალურმა კავშირებმა უმუშავერთა დასახმარებლათ ორი მილიონი მარკა დახარჯეს. დღეს ბერლინში 25 ათასი ორგანიზაციულათ შეკავშირებული მუშაა უმუშევრათ დარჩენილი. კრების აზრით უმუშავრობას ბადებს ცხოვრების გაძვირება, ხოლო ამ უკანასკნელის გამომწვევ მიზეზით კი მიაჩნიათ საბაჟოებისა და სხვა გადასახადების დღევანდელი პოლიტიკა. გამოითქვა აზრი—უმუშავრობა კიდევ უფრო იმატებს და ზამთარში უფრო საშიშ სახეს მიიღებსო.

---

# ებრაელებზე.

XI

**სიონისტების კრების გამო.**

გაზეთების ცნობით პეტერბურგში დაუჯერებელი ხმა გავრცელებულა,—თითქო სინოდს გადაუწყვეტია სასულიერო აკადემიის პროფ. ტროიცკის, რომელიც ცნობილია, როგორც სასტიკი მოწინააღმდეგე რიტუალური მკვლელობის უაზრო მტკიცებისა, სამსახურიდან დროებით თავისუფლება, არ მისცეს, რომ ბეილისის საქმის გარჩევაზე ექსპერტათ დასწრებოდა, რამდენი ხანია ბეილისის საქმე ირჩევა, რამდენჯერ გამოირკვა მისი უდანაშაულობა,—საქმის დაბოლოებას კი არაფერი ეშველა...

რამდენჯერ დამტკიცდა, რომ ებრაელები ქრისტიანთა სისხლს არ ხმარობენ, მაგრამ ეს საზიზღარი ბრალდება სურთ მაინც კისერზე მოახვიონ მათ...

ანგარიშს არ უწევენ არც გამოჩენილ სწავლულთა აზრს, არც ავტორიტეტიან კონგრესების რეზოლიუციებს, და ფემიდის ტაძარი ღამის უსამართლობის ტაძრათ გადააქციონ... საშინელს, წარმოუდგენელ შევიწროებას განიცდიან ხოლმე ამ უძველესი ერის წარმომადგენელნი?!

ებრაელებს არ აქვს საკუთარი ტერიტორია—საფუძველი ეროვნული თვითარსებობისა, დავიწყებული აქვთ თავისი ენა—ძველი-ებრაული; რაც შეეხება ჟარგონს, ის გადამახინჯებული გერმანულია.

მთელი დედამიწის ზურგზე გაფანტულს ებრაელებს საერთო წარსული ისტორიისა და ამა თუ იმ სახელმწიფოში მეტ-ნაკლები შევიწროების გარდა ...მის არაფერი აქვთ...

გამოელაპარაკეთ რუსეთში, ...ში, საფრანგეთში, ... ამერიკაში ...რებ ებრაელს და ... თუ ... შორის ბევრი საერთო ინტერესი ... საერთო სურვილი ყველა ქვეყნის ებრაელთა მხოლოდ ის არის, რომ გაუმჯობესდეს ცხოვრების პირობები, მოისპოს უსამართლო დევნა-შევიწროება...

ხშირად მსმენია რუს ებრაელისაგან: რუსეთი ჩვენი სამშობლოა და, როგორც ასეთი, განუსაზღვრელათ გვიყვარს; მიუხედავათ ათასგვარი შევიწროებისა ნებაყოფლობით მას არაოდეს არ გავშორდებით...

და ამას შემდეგ, ნუთუ რაიმე საფუძველი აქვს სიონისტთა მოღვაწეობას, სიონიზმის იდეას?!

ამას წინათ სიონისტების მეთერთმეტე კრება დაიხურა... ის საქმე, რომელსაც სიონისტები ემსახურებიან, იმავე წერტილზე სდგას, რომელზეც პირველი კრების წინ იყო. სიონიზმი რაღაც საქველმოქმედო დაწესებულებათ გადაიქცა, რომელიც მარად და მხოლოდ პალესტინაზე ოცნებობს.

სიონიზმმა უტოპიური მიზანი დაისახა, მიზანი ებრაელთა სახელმწიფოს შექმნისა..

მაგრამ მსოფლიო ისტორიამ არ იცის ერთი შემთხვევაც; რომ სახელმწიფო ხელოვნურათ, წინდაწინ განზრახული მიზნით გაჩენილიყოს.

და ეს უტოპიური იდეა წარმოიშვა ებრაელების აუტანელი პირობებისა და განსაკუთრებით ოთხმოციანი წლების დარბევა აწიოკების გავლენით.,.

ებრაელთა ბურჟუაზიის აზრით საკუთარი სახელმწიფო იხსნის ხალხს ყოველივე უბედურებისაგან... უსაფუძვლოება ასეთი შეხედულებისა ყოველ ეჭვს გარეშეა. განა თუნდაც ხელოვნურად დაარსებულ სახელმწიფოში არ იქნება უსამართლობა, ჩაგვრა გაბატონებული კლასის მიერ, ანტაგონიზმი შრომის და კაპიტალის შორის?! განა ასეთ სახელმწიფოში არ იქნება პიროვნებათა უფლებისა და ინტერესების შელახვა, ფეხ-ქვეშ გათელვა?!. თუმც სიონიზმი აღმოცენებულია ბურჟუაზიის წიაღში და ბურჟუაზიული სულით გაჟღენთილია, მაგრამ მან რამოდენიმეთ მუშათა წრეებშიც მოიპოვა ნიადაგი და აქტიური სოციალიზმის იდეა გაითქვიფა ბურჟუაზიული სიონიზმის იდეაში და გაჩნდა თავისებური მიმდინარეობა:—პოიალესიონისტები, რომელთაც ებრაელთა სახელმწიფო აუცილებლათ პალესტინაში უნდათ და სიონისტ-სოციალისტები, რომელთაც განზრახვა აქვთ გაიჩინონ საკუთარი ტერიტორია, სადაც არ უნდა იყოს.

ებრაელი ხალხი უნაყოფოთ ფანტავს თავის ძალასა და იღწვის იმ საქმისათვის, რომლის გაკეთებაც შეუძლებელია და თან უსარგებლოც...

ექსტერიტორიალურ ერს, რომელმაც მასთან ენაც კი ვერ შეინარჩუნა, რაღა დარჩენია, თუ არა ამა თუ იმ სახელმწიფოს დემოკრატიასთან ერთად დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაბმა და ბრძოლა ცხოვრების გარდასაქმნელათ უკეთესი პირობების გასაუმჯობესებლათ..

რამდენათ გაუმჯობესდება და გაიმარჯვებს დემოკრატია, იმდენად უფრო თავისუფლად ამოისუნთქავს ასეთი ერიც.

ხარკოვი. **ვ. კაკაბაძე.**

---

# წრევანდელი ღვინის მოსავალი

**საფრანგეთში.**

(**წერილი პარიზიდან**)

ღვინის მოსავალს საფრანგეთში წელს ჩვეულებრივი სიხალისით არ მოელიან; გამოკლებას რამოდენიმე დეპარტამენტი შეადგენს, მოსავალი აქ საზოგადოთ საშველოც ვერ არის. სად რამდენი მოვა, ამისი თქმა წინდაწინ ძნელია, რადგან ერთსა და იმავე დეპარტამენტის მამულებშიაც დიდი განსხვავებაა, მაგრამ მცოდნე პირთაგან დაახლოვებულათ შედგენილ ციფრებსაც შეგვიძლია დავუჯეროთ და ამითი საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ. უკანასკნელი დროის ხშირმა სეტყვამ და

სავაჭრო სახლი
**ი. გოკიელის ძმ—ბის**
ქუთაისში.

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო
**საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთი**
რომელიც პირდაპირ მწარმოებელისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით.
სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით
**ფასები დაუკლო.**

ახლად მიღებულია **ჩანთები** (რანცები)
მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში ჩვენ მივაქცევთ მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეებისთვის
„დღიური“ „Дневникъ“
რომელიც სრულიად ... მოთხოვნილებას და შედარებით **იაფ ფასათ იყიდება.**

დეპოლ:მა ულის. ჭურჭლეულო-ბის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ... ტაკზე საფენი „ლინელოუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თო-ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
**პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.**

ელვა-ქუხილმაც დიდი ზარალი მოიტანა და რამდენიმე მხარე სრულიად გაანადგურა.

ზოგან კი ზემონახსენებ მოვლენათა მაგიერათ მოსულმა წვიმამ, მართალია ცოტა გადააჭარბა, მაგრამ მაინც სარგებლობა მოიტანა.

მრავალი ვენახი დაზარალებულია ნაცრით და სხვადასხვა მრავალ მავნებელ მწერისგან. თვით ღვინის ხარისხზედაც არ შეიძლება დანამდვილებითი ცნობების მოყვანა, რადგანაც წრევანდელი ზაფხული არც საკმარისად ცხელი იყო და არც გრილი.

ეს ცნობები დამყარებულია არის უფრო იმ ანკეტაზე, რომელიც მოახდინა „Revue vinicole“-მა დაახლოებით, მაგრამ სიმართლესთან მაინც ბევრი რამ საერთო აქვს.

გამოიყვანეს ის დასკვნა, რომ ღვინის მოსავალი წელს ერთი მესამედით (1/3) დაიკლებს იმაზე, რაც მოსულა საშვალოთ შარშან, ე. ი. 1912 წ. შარშანდელი მოსავალი მარტო კონტინენტალ საფრანგეთში იყო 59,339,035 ჰეკტოლიტრი (ჰეკტ. უდრის 8,137 ვედროსას) რომელიც მოგვცემს 1913-ას 40 მილიონ ჰეკტ.; 1911 წ. მოსავალი კი აღემატებოდა 44,885,550 ჰეკტ. აი დაახლოებითი მოსავალი ექვს კატეგორიათ[დ]აყოფილი დეპარტამენტებისა:

I—კატ. შედის თერთმეტი დეპარტამენტი და აქ მოსავალი მეტიც მოვა.

II—კატ. შედის თერთმეტი დეპარტამენტი, სადაც მოსავალი უდრის შარშანდელს.

III—კატ. ირიცხება ერთი დეპარტამენტი; აქ კი დააკლდება შარშანდელს ერთი მეოთხედი.

IV—კატ. შედის თერთმეტი დეპ.— მოსავალი ნახევარსაც არ უდრის.

V—კატ. შედის თუთხმეტი დეპ. მოსავალი შარშანდლის მესამედი კიდევ არ არის.

ყველაზე უფრო დაჩაგრულია მეექვსე კატეგორიის თექვსმეტი დეპ., სადაც მეოთხედიც არ მოვა.

საერთოთ ამ ცნობებიდან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ წელს აქაური მოსავალი იქნება ორი მესამედი შარშანდლისა, ესე იგი 40 მილიონი ჰეკტ. კონტინენტალი საფრანგეთისა. ამავე დროს ალჟირის მოსავალი ბევრათ არ იკლებს შარშანდელზე, ე. ი. 6,671,181 ჰეკტ.— 1911 წელს აქ კი მოსულა 8,833·677 ჰეკტ. საერთო ამ წლის ღვინის მოსავალი მთელს საფრანგეთში იქნება 46,700,000 ჰეკტ. (40 მილ. მარტო კონტინენტალ საფ. 6,700,000 ჰეკტ. კი ალჟირში) 1912 წელს ეს საერთო ციფრი უდრიდა 66,010,216 ჰეკტ. ესე იგი 59,339,035 ჰეკტი კონ. საფ. და 6,671,181 ალჟირში.—ყველა დარწმუნებულია, რომ თვით წრევანდელი დამდგარი ღვინის ციფრებიც არ აღემატება ამას.

**ნიკ ჯანაშია.**

პარიზი.

# ოკრიბა

**ს. ხრესილი.** სოფ. ხრესილი მდებარეობს ტყიბულის რკინის გზის სადგურთან—„სერნია გოდი“ და ამას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სოფლის წარმომატებისთვის; სამკითხველოს გარდა აქ არსებობს: სააფთმყოფო, რომელიც ინახება მთავრობის ხარჯით, აფთიაქი (კერძო პირის) და ერთი სამრევლო შკოლა. სხვა კულტურული დაწესებულება აქ არ მოიპოვება. აქ თითქმის ყოველდღე მატარებლების მიმოსვლისა და სხვა დროსაც ახლო-მახლო სოფლებიდან მოაქვთ ოჯახური ნაწარმოები და სხვადასხვა სანოვაგე. ეს საშვალებას აძლევს სხვა კუთხეებიდან მოსულებს თითო კვირეობითა და ხან მეტიც დარჩენ აქ და ისარგებლონ გოგირდის წყლებით, (რაც საკმაოთაა ხრესილის მიდამოებში). ამას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს საავარაკოთ მოსულებისა და რკინის გზის მოსამსახურეებისათვისაც.

ადგილობრივი მცხოვრებლების ინტერესების დასაცავათ აუცილებელი საჭიროა დაარსდეს ერთი განსაკუთრებული სავაჭრო დღე, რომელიც ქალაქებიდან უფრო მეტ მყიდველებს მიიზიდავს და ამით კი უფრო კარგათ გაიჩარხება ყიდვა-გაყიდვის საქმე.

სავაჭრო დღის დაარსებისათვის ბევრი შრომა არ არის საჭირო, მაგრამ ხალხის შეუგნებლობა იქამდი მიდის, რომ თურმე უარს ამბობენ შესაფერი ოქმი დაადგინონ და წარადგინონ სადაც ჯერ არს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, სოფ. ხრესილში 4—5 პირს—ხალხის კეთილდღეობისთვის გულშემატკივრებს განუზრახავთ საკრედიტო ამხანაგობის დაარსება, რისთვისაც შესაფერ ნიადაგს ამზადებენ და ახლო მომავალში სურთ კოლექტიური განცხადება გაგზავნონ სადაც ჯერ არს; სანდო წევრების რიცხვი საკმაო იქნება და ასეთი დაწესებულების დაარსება აქ მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს; მისი სხვადასხვაგვარი ოპერაციები დიდ სარგებლობას მოუტანს ადგილობრივ წვრილ ვაჭრებსა და მეურნეებს, თუ კი, რასაკვირველია, საქმის ინიციატორები დასახული მიზნის გასახორციელებლათ ხელიხელ ჩაკიდებული ენერგიულათა და პატიოსნათ იმუშავებენ და, როგორც სხვაგან, პირად ინტერესებს არ ანაცვალებენ საზოგადო საქმის კეთილდღეობას. იმედი უნდა ვიქონიოთ—ბათომის წვრილი კრედიტის ინსპექცია საჭირო მორალურსა და ნივთიერ დახმარებას გაუწევს ამ მომავალ საკრედიტო დაწესებულებას, რითაც უფრო ნაყოფიერი იქნება საქმის მოთავეების წინასწარი მუშაობა; საჭიროა—ადგილობრივ ხალხს აეხსნას ასეთი დაწესებულების დაარსების მნიშვნელობა. ვუსუროთ საქმის ინიციატორებს ამ სასარგებლო მიზნის ახლო მომავალში განხორციელება.

**ხრესილელი.**

რედაკ.-გამომცემელი **გრ. ერ. ჭელიძე.**

ᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲭᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ
**საუკეთესო ცემენტი,**
რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ
**ძმ. ე. და პ. სააკაშვილების სავაჭროში**
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: სახლის საღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.

**ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოთ.**
ქ. ქუთაისში ქ. ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზ. იყიდება მისივე გამოცემა
**ქართული სახელმძღვანელო**
**„საქართველოს ისტორია“**
მესამე გამოცემა სურათებითა და გეოგრაფიული კარტით, შედგენილი ბ. **სიმონ ქვარიანის** მიერ. წიგნი ღირს ყდით ორი აბაზი.
**„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ“.**
ყოველი ერი მაშინ მიდის წინა და ვითარდება, როცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას. ერის აწმყო და მომავალი ცხოვრება უმთავრესათ დამყარებულია მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, ისე იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე მით უფრო მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო გემს, რომელიც უთავბოლოთ დაფოთიალობს ზღვის ტალღებში. სწორეთ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის, რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორია, მათ შკოლებში უმთავრესს და უსაყვარლეს საგნებს შეადგენს: სამშობლოს ისტორიასა, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათი განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონეთი და ფინეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ამას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.
ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება, სხვათა შორის, აიხსნება მით, რომ იგი რა იცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნებაც გაამხნევებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის არსებაში მოქმედების ღრმა რწმენას და მისცემს უშრეტ ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობრივათ ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი შკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია,
ამ მოსაზრებით ამ სამი წლის წინათ ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება უძველესი დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამა და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოიღო სახმარებლათ მთელ საქართველოში, როგორც კერძო და სამოქალაქო შკოლებში, ისე სამინისტროსა და სასულიერო სასწავლებლებში. თავისი მარტივი, გასაგები ენითი და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.
დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია“ გამოდის მესამე გამოცემათ ხუთი ათასი ცალი. გვწამს, რომ მას შეხვდებიან ჩვენი შკოლეში, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველს ორ გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკაძის სურათი.
გამომცემელი ქ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.

**ჭრა-კერვის სპეციალური სახელოსნო**
ღებულობს ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწდომ ფასათ.
შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.
**მისამართი:** თფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.
პატივისცემით **სიმ ჭყონიასი.**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
**ᲡᲐᲑᲣᲰᲐᲚᲢᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑ**
**Ნ. Ვ. ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ**
(დაარსებულია 1895 წ.)
„სავაჭრო ბუგალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.
ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გაგძელდება.**
მეცადინობა დაიწყება 15 სეკტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოთ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუგალტერის, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მათოდით, მაგრამ სპეციალურათ იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრების უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს „სჩოტებზე“ და კალიგრაფიას, არა სავალდებულოთ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიასი საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაკტიკულათ და თეორიულათ მომზადებულნი.
**ატტესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტათ მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებით მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისთვისა და ანგარიშისათვის.
კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდი. და საღამოს 5—7 საათამდი.
კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულათ და პრაკტიკულათ მომზადებულ ბუგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვადასხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.
პირადათ და წერილობით მომართეთ კურსების დამაარსებელს თფილისში: ნიკოლოზის ქუჩა. 22, ს. ს. ტელეფონი 744.

ხრესილი.
**სამკურნალო აბანო**
მეირფასი მთის არეზე
**ძმ. ყორყოლაძეების**
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

**გ. გორდაძის და ს. წერეთლის**
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ... უმაღლესი სასახლის კოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩავ მალცევის ბემსკის მაზ... ბას ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
**ᲠᲙᲘᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:**
საუკეთესო
...ებისგან
**ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲔᲣᲚᲘ**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პირდაპირ და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.